პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 147 (6202)

1978 წ. 29 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვადაზე ადრე!

რიგორც საქართველოს სსრ ცენტრალური [illegible] სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის [illegible] კებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისთვის, ვადაზე ადრე, 27 ივლისს გაანაღდეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის იანვარ-ივლისის გეგმა.

# საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

26 ივლისს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ხელმძღვანელი პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა.**

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა განიხილეს მეათე ხუთწლედის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები და ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრების ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. ა. პატარიძემ.**

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ფ. ს. ხანაკოევი**, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. დ. გაბუნია**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **ვ. მ. ცუგბა**, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. კობაიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ვ. ი. ვალაჩკორია**, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **დ. ვ. მანჯგალაძე**, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. **ვ. ი. ხარებავა**, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. **გ. პ. გამცემლიძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ამხ. **ლ. გ. ვარდოსანიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **რ. ა. ჩაფარიძე**, საქართველოს სსრ სამშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. **ო. ი. ლოლაშვილი**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **ვ. ი. მანჯგალაძე**.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

განხილულ საკითხზე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია. (საქინფორმი).

## ველოსპორტი

საკავშირო ჩემპიონატი ტრეკზე ასპარეზობაში

•

# მწვერვალებს ახალგაზრდები იპყრობენ

ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ისინი ცხრ დღის იბრძოდნენ: სამ დღეს — ტულაში გამართულ I ტურის ასპარეზობაში, სამსაც აქ, თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე. ქვეყნის უპირველესი სპრინტერისა და 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესოს სახელზე პრეტენზიას კი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების რამდენიმე ათეული უძლიერესი ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და, ასე გასინჯეთ, დამსახურებული ოსტატებიც კი აცხადებდნენ.

— პირველი ტურის შეჯიბრებები ტულაში ახალგაზრდობის მძაფრი შემოტევით აღინიშნა, — გუშინწინ გვიამბობდა სსრ კავშირის სპრინტერთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, წარსულში სახელოვანი ველოსიპედისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ვარგაშკინი, — თუ მათ იმ სამი ტურის წინანდელ ტემპს თბილისშიც გაუძლეს, შარშანდელი ჩემპიონები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს ვერ შეინარჩუნებენ...

— როგორ აფასებთ ამ შემოტევას?

— კმაყოფილება გვიუფლება, როცა ვხედავთ, რომ ახლა ველოსპორტში მოწინავე პოზიციები ადრინდელივით ტულელების, ხარკოველების, მოსკოველებისა და თითო-ოროლა სხვა ქალაქის საკუთრებას აღარ შეადგენს და პრიზიორთა „გეოგრაფია" საგრძნობლად გაფართოვდა. განსაკუთრებით მძაფრია შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა შემოტევა. თბილისელთა ხელდრითი წონაც საგრძნობლად ამაღლდა — პეტრე ჩეპაროდოვი ნაკრების ღირსეული წევრია, გივი დვალიშვილი და ემზარ



გელაშვილი — ქვეყნის იუნიორთა ნაკრებში არიან. ომარ ფხაკაძის ქალაქიდან ახალ ძალებსაც ველით...

ვარგაშკინის წინასწარმეტყველება ასრულდა — ორივე სახეობაში ჩემპიონები შეიცვალნენ და ორივეჯერ ოქროს მედლები ჯუმინდელმა იუნიორებმა მოიგეს.

...საეტაკო ველორბოლაში ერთი ყველაზე საინტერესო სახეობა სპრინტია. სწორედ აქ ვლინდება სპორტსმენის ძალა, ტექნიკა, ტაქტიკა, მანქანის მართვის ოსტატობა. მართალია, ხანდახან, როცა მეტოქეთა დუელი სურპლიას იყენებს, ოვალურ ბილიკზე რბოლა წყდება (ზოგჯერ ხანგრძლივადაც), მაგრამ მაყურებელი მაინც დაძაბული უჭყურებს მოწინააღმდეგეებს, რომელთა მთელი ყურადღება მეტოქისკენაა მიპყრობილი.

სურპლიასი. ეს არის სპრინტერთა ტაქტიკური მანევრი, როცა მეტოქენი ველოსიპედზე ამხედრებულნი დგანან და ელიან... მოწინააღმდეგის შეცდომას, დგანან რამდენიც სურთ, რამდენიც შეუძლიათ — 5, 10... წუთი ოღონდ 20 სანტიმეტრზე მეტით უკან დახევის უფლება არა აქვთ. წესის დამრღვევი პირველ პოზიციაში ბრძოლას აგრძელებს, ეს კი მეტოქისთვის ხელსაყრელია, ვინაიდან მეორე პოზიცია უფრო მომგებიანად მიაჩნიათ.

ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე დიდი 8-წუთიანი სურპლიასი ჰქონდათ ნახევარფინალისტებს, იუნიორთა შორის პირველ საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონს, ნოვომოსკოვსკის ფიზკულტურის ტექნიკუმის პირველკურსელს ს. კოპილოვს, რომელსაც ღლეს 19 წელი შეუსრულდა და დინამოელ ბ. ლუცენკოს.

კოპილოვს მისი დამარცხება არ გასჭირვებია — ორივე ცდა მოუგო და ფინალში პირველი გავიდა. აი, ამხაბადელ ვ. რომანცოვისა („შრომის რეზერვები") და კრასნოდარელ ს. ქურავლიოვის („დინამო") ნახევარფინალურ შეხვედრაში კი სამივე ცდის გამოყენება გახდა საჭირო. რომანცოვმა სძლია მეტოქეს — 2:1.

ტულაში ყველას კოპილოვმა აჯობა, რომანცოვი იქ მეოთხე იყო. ახლა სწორედ რომანცოვმა შეძლო ფინალამდე გზის გაკვლევა, მაგრამ მეტი ვერაფერ მოახერხა.

ს. კოპილოვს, რომელსაც ს. მაქსიმოვი ავარჯიშებს, ჩვენს ქვეყანაში სპრინტში ნამდვილად არ ჰყავს ბადალი, რომანცოვიც ორივე ცდაზე ამჯერა უპირატესობით დაამარცხა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. კოპილოვმა პირველად მოიგო ქვეყნის ჩემპიონობა. მას ორ ტურში 50 ქულა დაუგროვდა. რომანცოვს — 44. ქურავლიოვმა კი, რომელმაც ბრინჯაო მიიღო — 42 ქულას მოუყარა თავი. საინტერესოა, რომ იგი ორივე ტურში III ადგილებზე გავიდა.

ხუთშაბათს კიდევ ერთი ჩემპიონი გამოვლინდა — 4 კმ გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. წინა დღით, მერვედ და ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდა. აქ პ. ჩეპაროდოვიც ცდიდა ძალას. თბილისის დინამოელს ასპარეზობა უჩვეულო პირობებში უხდებოდა: რამდენიმე კვირის წინ მიღებული ხელის მძიმე ტრავმის გამო სრულ საბრძოლო ფორმაში როდი იყო.

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ს. კოპილოვისა და ვ. რომანცოვის სურპლიასი. მეტოქენი დგანან და ელიან...

ავტორის ფოტო.

## ორი კუ ორი მხედრის წინააღმდეგ

**ბაგიოში** (ფილიპინები) ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში 27 ივლისს გათამაშდა V პარტია.

როგორც III პარტიაში, კარპოვმა შავებით ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშა, მაგრამ მალე ბრძოლა ლაზიერის გამბიტისთვის დამახასიათებელ პოზიციაში გაგრძელდა.

კორჩნოიმ საიერიშოდ განალაგა ფიგურები და მეფის ფრთაზე პაიკების წინსვლით შეუტია შავი გვირგვინოსნის პოზიციას. კარპოვი ზუსტად იგერიებდა მუქარას, თუმცა მეტოქეს ორი კუს უპირატესობა ჰქონდა.

რთულ პოზიციაში, 37-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა გაბედულად ითამაშა პაიკით და კორჩნოიმ თავისი კუთათვის ვრცელი ასპარეზი მიიღო. ამასობაში ამოიწურა განკუთვნილი დრო და თამაში შეწყდა.

### კორჩნოი — კარპოვი

### ნიმცოვიჩის დაცვა

1. c4 მf6 2. b4 e6 3. მc3 კb4 4. e3 c5 5. მge2 b5 6. a3 კ:c3+ 7. მ:c3 cb 8. eb dc 9. კ:c4 მc6 10. კe3 0—0 11. 0—0 b6 12. ლd3 კb7 13. ეad1 h6 14. f3 მe7 15. კf2 მfd5 16. კa2 მf4 17. ლd2 მfg6 18. კb1 ლd7 19. h4 ეfd8 20. h5 მf8 21. კh4 f6 22. მe4 მd5 23. g4 ეac8 24. კg3 კa6 25. ეfe1 ეc6 26. ეc1 მe7 27. ე:c6 ლ:c6 28. კa2 ლd7 29. მd6 კb7 30. მ:b7 ლ:b7 31. ლe3 მფh8 32. ეc1 მd5 33. ლe4 ლd7 34. კb1 ლb5 35. b4 ლd7 36. ლd3 ლe7 37. მფf2 f5 38. gf ef 39. ეe1 ლf6 40. კe5 ლh4+ 41. კg3 ლf6 42. ეh1. პარტია გადაიდო.

ამ მდგომარეობაში კარპოვმა ჩაიწერა თავისი 42-ე სვლა.

**გუშინ, თამაშის განახლებისას, 6-საათიანი ბრძოლის შემდეგ 92-ე სვლაზე პარტია კვლავ გადაიდო.**

●

## ჩიბურდანიძის პირველი გამარჯვება

**ვილნიუსი, 28 ივლისი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ, XIX საერთაშორისო ტურნირში XI ტური და გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

XI ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ტ. პეტროსიანი მე-20 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ი. დორფმანს, მ. დვორეცკი 23-ე სვლაზე ი. ლეხტინსკის (ჩეხოსლოვაკია). ს. რეშევსკიმ (აშშ) კარგად გამოიყენა კ. კაიშაურის (შვეცია) შეცდომა და 33-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ხუთი პარტია გადაიდო. მაია ჩიბურდანიძე უპაიკოდ დარჩა ი. ბელიავსკისთან, ბ. გულკო უხარისხოდ მ. დამიანოვიჩთან. ვ. ტუკმაკოვმა შეინარჩუნა უპირატესობა ლ. ესპიგთან (გდრ), ი. ჩომმა (უნგრეთი) — გ. ლიბერზონთან (კუბა) და ე. მიკენასმა — გ. პეშინასთან.

## ჭადრაკი

გადადებული პარტიების დამთავრებისას ბელიავსკიმ სძლია ჩიბურდანიძეს, მიკენასმა და პეშინას.

პირველი გამარჯვება იზეიმა ჩიბურდანიძემ, რომელმაც 50-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა კაიშაურს. შვეციის წარმომადგენელმა კიდევ ორი პარტია წააგო — ლიბერზონთან და გულკოსთან.

ლიბერზონმა დამარცხა ჩომი, დამიანოვიჩმა — გულკო, ტუკმაკოვმა — რეშევსკი, ესპიგმა — პეშინა. რეშევსკი დანებდა გულკოსა და დაუზავდა ესპიგს. ყაიმზე შეთანხმდნენ მიკენასი — ჩომი, პეშინა — მიკენასი.

კვლავ გადაიდო ტუკმაკოვ-ესპიგის შეხვედრა.

11 ტურის შემდეგ ა. ბელიავსკის 8 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. პეტროსიანს, ი. ლეხტინსკის — 7-7, ბ. გულკოს — 6,5, ლ. ესპიგს — 6 (1), ი. დორფმანს, მ. დვორეცკის, ი. ჩომს — 5,5-5,5, ს. რეშევსკის — 5, კ. კაიშაურს, გ. ლიბერზონს — 4,5-4,5, მ. დამიანოვიჩს — 4, მ. ჩიბურდანიძეს, გ. პეშინას, ე. მიკენასს — 3,5-3,5.

**გ. ფაილიანტი,**

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

●

## ალექსანდრია მიიწვიეს

უკვე კარგა ხანია რუსეთის ფედერაციის ჭადრაკის მესვეურნი ატარებენ ქალთა საერთაშორისო ტურნირს. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ბევრმა მოჭადრაკემ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიიღო.

და აი, 4-27 აგვისტოს გაიმართება მორიგი ტურნირი, რომელსაც პიატიგორსკი უმასპინძლებს. პირველად ამ ტურნირების ისტორიაში ორგანიზატორებმა მიიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — საერთაშორისო დიდოსტატი ნ. ალექსანდრია.

ჩრდილოეთ კავკასიის სახელგანთქმული აგარაკის ტურნირში საასპარეზოდ მიწვეული არიან, აგრეთვე, საერთაშორისო ოსტატები ბორისოვა (ბულგარეთი), კარაკაში (უნგრეთი), ჰოფმანი (გდრ), რაძიკოვსკა (პოლონეთი), პროტოპოვიჩი (იუგოსლავია), კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), ბაუმშტარკი (რუმინეთი). მასპინძელთაგან ითამაშებენ დიდოსტატები ახმილოვსკაია, კოზლოვსკაია, საერთაშორისო ოსტატები კისლოვა, საუნინა, ოსტატობის კანდიდატები გოგონათა შორის, სსრ კავშირის ჩემპიონი სტუპინა, პონნარიოვა, იაროსლანოვა და ვორონინა.

## ძიუდოობა

**ლიეპაიაში** დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ძიუდოისტთა შორის. მძიმე წონაში მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მოსკოველმა ს. ნოვიკოვმა მერვედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ფინალში დაამარცხა რა მისი თანაქალაქელი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ვ. კუზნეცოვი. მესამე ადგილი ამ წონაში მოიპოვეს ა. ტიურინმა (მოსკოვის ოლქი) და ვ. სობოლევმა (ტაშკენტი). ქვემძიმე წონაში პირველად გახდა ჩემპიონი 21 წლის ჩელიაბინსკელი გ. ვერიჩევი. ფინალში მან წმინდად დაამარცხა კურსკელი ა. შურეევი. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ჩელიაბინსკელ ვ. ბეთანოვს და მაიკოპელ ვ. გურინს.









# ზაფხული-78 • ასე ცხოვრობენ...

**დილის** სიგრილე თანაბრად მოსდებოდა არაგვის ხეობას. დუშეთი მშვიდი და უხმაური იყო.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ასე დაურქმევიათ იმ სკოლა-ინტერნატისთვის, მაღლიდან რომ გადმოჰყურებს დაბას. წელს აქ, თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლის (დირექტორი — მ. გეგელია) მოსწავლეებს დაუდვიათ ბინა.

ბანაკი შვიდ საათზე იღვიძებს.

— ყურადღება! ვიწყებთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. მაისურებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ხალისიანი ჟრიამულით ავსებენ მოედანს. ვარჯიში. შემდეგ საუზმე...

წკრიალა, ნათელი ოთახები და ქათქათა ზეწრები. ყველაფერს მოსიყვარულე, გამრჯე ხელი ატყვია.

ბანაკში 260 მოსწავლეა. ისინი ხალისიანი, საინტერესო დღეებით ცხოვრობენ.

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აღზრდისა და დაოსტატების საპატიო საქმეს გამოცდილი მწვრთნელები — მ. კერესელიძე, მ. ვიშნიაკოვა, ნ. სალუქვაძე, ვ. სეენკო, მ. სიმონიანი უდგანან სათავეში.

დროის უმეტესი ნაწილი — ვარჯიში- ასეთია მათი დევიზი.

— ისინი აქედანვე უყრიან საფუძველს 1981 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის მზადებას, — გვეუბნება სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თ. ცაბაძე და ეზოს უკანა მხარეს მივყავართ.

იქ მთელ სიგრძეზე გაუმწკრივებიათ ფერადი ლეიბები, „ერთი და ორი... ცოტა უფრო სწრაფად. ასე, კარგია. ერთი და..." ისმის მწვრთნელის მ. კერესელიძის ხმა.

გოგონები ლამაზად მოძრაობენ. და ასე გრძელდება ყოველდღე. შენიშვნები და მითითებები უძლევის სრულყოფამდე მისასვლელ რთულ გზას. ვინ იცის, სპორტი ხომ მოულოდნელობით არის სავსე. ეგებ, ერთის შეხედვით ამ ჩვეულებრივ გოგონათა შორის, რომელიმე „ვარსკვლავად" იქცეს.

მწვრთნელები — გ. ზაალიშვილი, ქ. ოთარაშვილი, ვ. გავრილოვსკი, თ. ბუზიაშვილი, ტ. მღებრიშვილი, ი. გავრილოვსკი, გ. ბალდასაროვი აკრობატიკის რთულ და საინტერესო ილეთების ხელოვნებას აჩვევენ მოსწავლეებს.

ყურადღებას იქცევს ს. გეორქოვას გამოსვლა. ეს ათიოდე წლის ლვედივით მოქნილი გოგონა აკრობატიკის ილეთებს ლამაზად და ძალდაუტანებლად ასრულებს.

სპეციფიკური წვრთნისა და ვარჯიშების გარდა, სპორტის უამრავი სახეობა რომ უყვართ მოსწავლეებს, ეს თვალის ერთი გადავლებითაც შეიგრძნობა.

ნაძვების ჩრდილქვეშ ჩოგბურთის მოყვარულებსა და გულშემატკივრებს მოუყრიათ თავი. კაკუნით დახტის პატარა თეთრი ბურთი და მომწვანო მაგიდის თავზე სრიალით ხაზავს წრეებს.

მოასფალტებულ ბილიკებს იქით ფეხბურთის მოედანია. ყიჟინით დარბიან მზეზე გარუჯული ბიჭები და ენერგიულად უტევენ კარს. იქვე კალათბურთის მოედანი და ფარები მოჩანს.

— ამ ორიოდე კვირის წინ წარმატებით ჩავატარეთ შიდასაბანაკო სპარტაკიადა. სპორტის ყველა სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულნი. ახლა გადაწყვეტილი გვაქვს 12 აგვისტოს, ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით, დიდი სპორტული გამოსვლები მოვაწყოთ მეზობელ პიონერთა ბანაკელებთან ერთად, — გვეუბნება ბანაკის „ყოვლისშემძლე", ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, მძლეოსანი ვ. ვაშაკიძე.

ბანაკის ხელმძღვანელობა სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით იხსენიებს თავიანთ უშუალო მასპინძელს, დუშეთის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ც. ახობაძეს.

ყველგან წესრიგი და ზომიერება სუფევს. ერთიმეორის სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა ყველგან.

წითელ კუთხეში ყურადღებას იქცევს ლამაზად გაფორმებული სტენდები და კედლის გაზეთი „სპორტული ცხოვრება".

ბანაკმა ცხოვრება 3 ივნისს დაიწყო. ენთო დიდი კოცონი, იყო ხაზი და საზეიმო გამოსვლები. ანძაზე წითელი ალამი ფრიალებდა.

მოსწავლეები სპორტულ წვრთნასა და გართობა-დასვენებას თანაბრად უთავსებენ ერთმანეთს. აწყობენ ექსკურსიებს, თვითშემოქმედებით კონცერტებს. ხალისიანი „მოგზაურობა" ჰქონდათ შვიდკილომეტრიან დისტანციაზე — ბაზალეთის ტბაზე. ინტერესით დაათვალიერეს დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გაეცნენ წლების მიღმა დარჩენილ ისტორიულ ამბებს.

... კონცერტი ღია ცის ქვეშ. მაყურებლებით დახუნძლული აივნები. მუსიკისა და სიმღერის ხმები ეზოს გადაღმა ისმის.

ერთმანეთს ენაცვლებიან პატარა დეკლამატორები და მომღერლები. აღტაცებული მაყურებლები ტაშს უკრავენ ათი წლის ჯემალ ესიავას — ბანაკის „პრიმა"-მოცეკვავეს.

აივნიდან წვიმასავით მოდის მინდვრის ყვავილები.

ლამაზი დღეებით არიან სავსენი, ხალისიანია მათი ცხოვრება ტყეებსა და მინდვრებში, სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში. იმხნევებენ და იკაჟებენ სხეულს, მონდომებით სწავლობენ და იწვრთნებიან...

... და ცხოვრობს ბანაკი თავისი ხმაურიანი, საინტერესო ცხოვრებით. აგვისტოს მიწურულს მზისფრად შეღებილი გოგონები და ბიჭები დაბრუნდებიან თბილისს. დაბრუნდებიან გამარჯვების სურვილებითა და ენერგიით ალსავსენი.

**მზია გედიაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.
დუშეთი — თბილისი.

• • •

**სურათებზე:** ბანაკის სპორტული ცხოვრებისა და გართობა-დასვენების ამსახველი მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.









# დაღლილობა რომ არა...

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფინეთის ქალაქ ოულუში გამართულ კლასიკური სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა თემურ ყაზარაშვილმა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ამ დღეებში თ. ყაზარაშვილი თავის აღმზრდელთან, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ი. ჩხარტიშვილთან ერთად რედაქციაში გვეწვია.

— ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში პირველად მივიღე მონაწილეობა, — გვიამბობს თემური. ფინეთში გამგზავრებამდე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა „კლასიკოსთა" ჩემპიონატში ვიასპარეზე, ოქროს მედალი მოვიპოვე და მწვრთნელებმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებში მიმიწვიეს. ოულუს ხალიჩაზე 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემთან ერთად ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ათმა სპორტსმენმა მოსინჯა ძალა. სულ ექვსი შეხვედრა ჩავატარე, მათგან ხუთში წმინდად გავიმარჯვე, ერთი ორთაბრძოლა კი ქულებით დავთმე. ეს მოხდა მეორე წრეში, ბულგარელ ტოდორ ანდროპოვთან შეხვედრაში. ანდროპოვმა ბოლომდე დაუმარცხებლად იჭიდავა და ოქროს მედალიც მას ერგო. უცხოელი სპეციალისტები და ჟურნალისტები ერთხმად აღიარებდნენ საბჭოთა ნაკრების მომზადების მაღალ დონეს. ჩვენმა ბიჭებმა მართლაცდა შესანიშნავად იასპარეზეს — ოულუს სპორტის სასახლის თაღებქვეშ შვიდჯერ აჟღერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

თ. ყაზარაშვილს ახლახანს შეუსრულდა 19 წელი. იგი რუსთაველია, ადრე ო. გუგეშაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში.

—თემური მომავლის სპორტსმენია, — გვითხრა ი. ჩხარტიშვილმა, — გულით უყვარს ჭიდაობა, არც მონდომება და პასუხისმგებლობა აკლია, ასე, რომ ამ ჭაბუკზე დიდ იმედებს ვამყარებთ. თანაც ისეთ წონაში გამოდის, ქართველი ფალავნები „ტრადიციულად" რომ მოიკოჭლებენ. ჩემი ღრმა რწმენით, ევროპის ჩემპიონატზე თემური ოქროს მედალს არ ვის დაუთმობდა, დაღლილობას რომ არ ეჩინა თავი. საქმე ისაა, რომ ეს ჭაბუკი ერთ-ერთ საკავშირო ტურნირზე „თვალში მოუვიდათ" ნაკრების მწვრთნელებს და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვიეს, სადაც სპარინგ-პარტნიორობას უწევდა მოზრდილთა ნაკრები გუნდის წევრებს. შემდეგ „შრომითი რეზერვების" გუნდთან ერთად ზაპოროჟიეში იჭიდავა საბჭოთა კავშირის საუწყებო პირველობაზე და საუკეთესო ექვსეულში დაიმკვიდრა ადგილი. მართალია, უფროსებთან ჭიდილი გამოცდილების კარგი სკოლაა, მაგრამ ზედმეტი „გათამამებაც" არვარგა.

ასეთია მწვრთნელის აზრი.

ველოსპორტი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე ასპარეზობაში

# მწვერვალებს ახალგაზრდები იპყრობენ

დასასრული

...რამ მეოთხედფინალამდე მაინც ...იდა. აქ კი წილისყრამ მის მე...ქვეყნის მრავალგზის ჩემ...ონი ლენინგრადელი ვ. ოსოკინი ...პროფკავშირების ნაკრები) დაასა...ლა. მერე ოსოკინმა ტულელი ვ. ...ტრაკოვიც (შეიარაღებული ძალე...) დაამარცხა და ფინალში ალმაა...ლ ნ. მაკაროვისა („ბურევესტ...ნი") და დინამოელ ვ. რუდენ...ს დუელში გამარჯვებულს დაე...ოდა. აქ მაკაროვმა მოიპოვა წარ...ტება.

...ოსოკინ-მაკაროვის ფინალური ...ოლი ამ შეჯიბრების ნამდვილი ...ნება იყო, ერთხანს ოსოკინი ...ნაც დაწინაურდა, როცა ფინიში ...ახლოვდა, მაკაროვმა თითქმის ...უძლებელი შეძლო.

...ფინალამდე 4 კმ ყველაზე სწრა...დ სწორედ მაკაროვმა გაიარა — ...ეოქვსმეტედფინალში 4.46,86 აჩ...ნა. ახლა კი ეს შედეგი 0,02 წა...თ გააუმჯობესა და ოსოკინს ფი...ნიშთან 0,15 წამით მიასწრო.

...ვ. პეტრაკოვმა III ადგილისთვის ...ბრძოლაში სძლია რუდენკოს.

ამრიგად, ოლიმპიურ სახეობებში ქვეყნის სამი ჩემპიონის ვინაობა ცნობილია. ორი ჩემპიონი დღეს გამოვლინდება.

როგორ გამოვიდნენ განვლილ სახეობებში მასპინძლები?

1 კილომეტრზე ადგილიდან რბოლაში (გიტი) ა. სივოძელეზოვმა („განთიადი") 40 მეტოქესთან დავაში მე-19 შედეგი (1.09,77) აჩვენა. მან ჩემპიონთან და ქვეყნის რეკორდსმენთან ვ. კუდრიავცოვთან (შეიარაღებული ძალები) 3,86 წამი წააგო და ა. კოვალჩუკს („შრ. რეზერვები"), რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა, 3,20 წამი მოუგო.

ინდივიდუალურ რბოლაში პ. ჩევარდოვი IX ადგილს დასჯერდა. სპრინტში 16 წლის ე. გელაშვილი 27-ე ადგილზე გავიდა, გ. დვალიშვილი (ორივე — „დინამო") — მეათეზე.

დღეს ჩემპიონატი მთავრდება. ოქროს მედლები გათამაშდება 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში და 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ შეჯიბრებაში.

ო. გელაშვილი.

# ინდივიდუ
## ფინიშის შემდეგ



ნ. მაკაროვი — სსრ კავშირის ჩემპიონი



ს. კოპილოვი — მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი

— ჩემს მდგომარეობაში მყოფი ...რტსმენი, რომელმაც სსრ კა...ირის ჩემპიონის პირველი ოქრ...ოს მედალი მოიპოვა, უდაოდ ბე...ნიერია. თავი სიზმარში მგონია, ...გულწრფელობით, არც მჯერა, რომ ...ბჭოთა კავშირის მრავალგზის ...ჩემპიონი დავამარცხე, თუმცა ჩე...მი მწვრთნელი ქვეყნის ნაკრებში, ...ყაზახეთის დამსახურებული მწვრ...თნელი ქ. შენგელია სამი დღეა მა...რწმუნებდა, რომ მე ჩემპიონი ვი...ქნებოდი. მადლობა მას ფსიქოლ...ოგიური მომზადებისთვისაც.

20 წელი ახლახან შემისრულდა. ...პირველი სერიოზული წარმატება ...მაშინ, II საკავშირო ახალგა...ზრდულ თამაშებში გამარჯვებით ...მოვიპოვე. ახლა ალმა-ათის ფიზ...კულტურის ინსტიტუტის II კურ...სის სტუდენტი ვარ.

● მომავალზე რას ფიქრობთ?

— ეს სახეობა ჩემი გატაცებაა. ...ველოსიპედოთ ცხოვრება, სპო...რტი ვერ წარმომიდგენია. ფიზ...კულტურის ინსტიტუტშიც იმიტომ ...შევედი, როცა ჩემი ჯერიც დად...გება სარბიელზე ადგილი უფრო ...ახალგაზრდებს დავუთმო — აუც...ილებლად მწვრთნელი გავხდები, ...მანამდე კი მხოლოდ გამარჯვების...თვის ვიბრძოლებ.

● მასპინძლებზე რას იტყვით?

— ...კეთილ მასპინძლებზე ცუდს ...ჩვენში ლაპარაკობენ, მით ...უფრო საქართველოს სპორტკო...მიტეტის, ველოდრომის დირექცი...ის ზრუნვა ერთი წუთითაც არ ...მოგვკლებია. თბილისის ველოსტა...დიონი მშვენიერი საასპარეზოა. ...ვფიქრობ, რომ ამ ტრეკზე კიდევ ბე...ვრჯერ გავიმარჯვებ.

— თბილისის სტარტები ჩემთვის მეტად იღბლიანია: სწორედ ამ ტრეკს უნდა ვუმადლოდე ჩემს წარმატებებს. აქ საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ ჯერ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონი გავხდი და აი, ახლა პირველად მოვიგე საკავშირო პირველობის ოქროს მედალი.

● თქვენი მომავალი გეგმები?

— აგვისტოს შუა რიცხვებში მიუნხენში მსოფლიო ჩემპიონატია. იქ სპრინტში ბევრი ცნობილი ოსტატი გამოვა. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიიდან ტკაჩი, გდრ-დან — რაში, ლუცი და სხვები. მინდა მათთან დავაში კარგად გამოვიდე, და, რაც მთავარია, მოსკოვის ოლიმპიადის ტრეკიდან გამარჯვებული დავბრუნდე ტულაში, სადაც ვცხოვრობ.

● წლეულს სხვა რა სტარტები გელოდებათ?

— სექტემბრის დასაწყისში ერევანში სსრ კავშირის თასის გათამაშებაა, მეორე ნახევარში კი აქვე, თქვენს ტრეკზე განზრახულია ჩატარდეს ტანდემებით რბოლაში ქვეყნის ჩემპიონატი, რომელშიც ჩემს ძმასთან ერთად გამოვალ.

● რას იტყვით ქვეყნის იუნიორთა ნაკრებში თქვენი თანაგუნდელის, თბილისელი გივი დვალიშვილის მომავალზე?

— იუნიორთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენ ერთად ვცდიდით ძალებს. გივიმ იქ VI ადგილი დაიკავა. უდავოდ ნიჭიერი სპრინტერია, მაგრამ გადამწყვეტ სტარტებში შიში, გაუბედაობა ეუფლება. სისწრაფესაც მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს...

**თბილისში** გაიმართა საქართველოს ზამთრის სპორტის სახეობათა ახლად შექმნილ ფედერაციის პლენუმი, რომელმაც გააფორმა ორი ფედერაციის — სამთო-სათხილამურო სპორტისა და სათხილამურო სპორტის (რბოლა, ტრამპლინიდან ხტომა, ციგაობა) ერთ ფედერაციად გაერთიანება.

პლენუმის მუშაობას საქმიანი, კრიტიკული (ბევრ შემთხვევაში კი, თვითკრიტიკული) ტონი მისცა სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის **ფ. ნავერიანის** გამოსვლამ, რომელმაც ღრმა ანალიზი გაუკეთა ფედერაციის მუშაობას.

გულახდილად ითქვა, რომ რესპუბლიკამ უკანასკნელ წლებში დათმო ადრე საკავშირო სარბიელზე მოპოვებული პოზიციები. ფ. ნავერიანმა ჩამორჩენის მთავარ მიზეზად სამართლიანად მიიჩნია ბავშვებთან სუსტი მუშაობა.

— ეს საქმის ქვაკუთხედია და სწორედ ნორჩებიდან უნდა მოდიოდეს შევსება, — მაგრამ აბა რა რეზერვზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ბაკურიანში დაიხურა „დინამოს" სპეციალიზებული სპორტსკოლა, რომელსაც სათანადო წარმატებები ჰქონდა (სწორედ აქედან გამოვიდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი იუნიორთა შორის ვ. სანაკოევი), მასობრიობაზე ძნელია ვილაპარაკოთ ისეთ ვითარებაში, როცა ბაკურიანშიც კი მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი თუ დგას თხილამურებზე. რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია.

მისასალმებელია თბილისში განათლების სამინისტროს მიერ ახალი სპეციალიზებული სამთო-სათხილამურო სპორტსკოლის გახსნა. მოსკოვის გარდა ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი როდი დაიტრაბახებს თხილამურებში ამდენი ნორჩი ჩემპიონით (ლომინაძე, ურუშაძე, ფხაკაძე).

ახლა ბაკურიანში კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდებიც, შედეგი კი დაბალია, რადგან ფედერაცია, ჩვენი მწვრთნელები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში მ. ჩერნიაევი ადრე ვერაფრით სჯობდა ბაკურიანელ მ. ბაკაევს, წელს კი სვერდლოვსკში ბაკაევმა გამარჯვებულთან წააგო... 50 მეტრი (!).

— როგორც წესი, მზადებას ზამთრის სეზონისთვის ზამთრის პირზე, ზოგჯერ კი შუა ზამთარში ვიწყებთ და... სპორტულ „პიკს" ხშირად სეზონის ბოლოში ვაღწევთ — აღნიშნა თავის გამოსვლაში თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დეკანმა **კ. ლომინაძემ.**

ძველი ფედერაციების გეგმების განხორციელებაზე, მისი კომისიების სუსტ მუშაობაზე ილაპარაკა ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა **ლ. აგეევამ,** რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ბოლო წლებში არ ჩატარებულა მსაჯთა არც ერთი სემინარი თუ შეკრება, უმოქმედობდა ფედერაციის დისციპლინალური კომისიაც.

მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **კ. ასტახიშვილმა** თქვა, რომ ხშირად შეჯიბრების მთელი სიმძიმის გადატანა მთავარ მსაჯებს უხდებათ. ზოგჯერ ეს ხდება ჩვენი არბიტრების ნაკლები აქტიურობის, ზოგჯერ არაკვალიფიციურობის მიზეზით.

ზამთრის სპორტის სახეობებში შეჯიბრებების ჩატარების დროს სამედიცინო მომსახურების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა ექიმმა **კ. ავალიანმა,** ხოლო სათხილამურო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ბარათაშვილმა** დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ფედერაციის წევრების როლის ამაღლებაზე შეჯიბრებათა მომზადებისა და ჩატარების პერიოდში.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ებრალიძემ** თქვა: — ჩვენი სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის ბევრს ზრუნავენ ცალკეული ენთუზიასტები, რომლის... [illegible] ...ის ზოგიერთ [illegible] მუშავებულია [illegible] „[illegible] ბაკურიანის" განვითარების გენერალური გეგმა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ზამთრის სახეობათა წინსვლას. დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სასწავლო-სპორტული ცენტრის მშენებლობა, წელს დამთავრდება საბაგირო გზის „ვლ-1000"-ის მონტაჟიც...

პლენუმმა აირჩია საქართველოს სსრ ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობა (19 კაცი), რომლის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი **ი. გურგენიძე.** მის მოადგილეებად არჩეულნი არიან რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ნ. გურაბანიძე,** ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი **თ. ფხაკაძე,** საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ა. არუცევი** და ბაკურიანის ტურისტთა ბაზის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **კ. წაქაძე,** პასუხისმგებელ მდივნად — რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის უფროსი მეთოდისტი **გ. შუმიაჩერი.** მწვრთნელთა საბჭოს სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრის გამგე **ფ. ნავერიანი,** მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს — ამავე ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი **კ. ასტახიშვილი.**

ო. ნოზაძე.

# ციგა ზაფხულშივე მოამზადე...

# „ჩვენ გვჭირდება კრივი"

**კრივს** დადებითად აფასებდა არაერთი ხელოვანი თუ მეცნიერი. აღსანიშნავია, რომ სპორტის ამ სახეობას კარგად ახასიათებდა ისეთი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თავის დროზე ხელთ ეპყრა ჩვენი ქვეყნის კულტურისა და განათლების კლიტენი. ეს ადამიანი **ა. ლუნაჩარსკი** გახლდათ. მას ეკუთვნის კრებული სტატიებისა „მოსაზრებანი სპორტის შესახებ". გთავაზობთ ნაწყვეტს მისი წერილიდან „ჩვენ გვჭირდება კრივი".

**საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ გიორგაძე.**



ჯგიუფის მოყვარულთა კუთხე

**მე ბევრჯერ** მთხოვეს აზრი გამომეთქვა კრივის შესახებ. სიმართლე გითხრათ, ერთგვარი ამრეზით ვუცქერდი სპორტის ამ სახეობას. ეს იმიტომ, რომ პროფესიული კრივი ლამის ისეთ სისხლიან სანახაობად იქცეს, როგორიც კორიდაა. ამ მიზეზით დიდად საჭიროდ არც მიმაჩნდა მისი დანერგვა ჩვენში.

შემდეგ კი, როცა უფრო ღრმად ჩავუკვირდი კრივის ანბანს, აზრი შევიცვალე. ასე გასინჯეთ თვით პროფესიული კრივის უძნელეს ტრენაჟსა თუ მკაცრ კანონებშიაც აღმოვაჩინე საღი მარცვალი. ძალისმიერი სპორტის სახეობები დიდი სიღრმეების შემცველია. ავიღოთ მაგალითად რეგბი, ძალზე ცდება ის, ვინც რეგბის მარტო რკენად და ჰიდილად აღიქვამს. ნაცადი თვალი იოლად განჭვრეტს, რომ ამ მოთამაშეთაგან ვინმე ძნელად თუ დადრკება ცხოვრებისეული განსაცდელის წინაშე: ასე აწრთობს ადამიანს რეგბი. სიმედგრისა და შეუდრეკლობის განვითარების მხრივ კი კრივს სპორტის ვერც ერთი სახეობა დაუდებს ტოლს.

ოღონდ ესაა, კრივის სასაყვედუროდ ხშირად თქმულა, — ძალზე უხეში სპორტიაო. რად ივიწყებენ მავანნი აუგის მთქმელნი, რომ კრივში შეჯიბრება მკაცრად ზღვარდებულია წესებით. მოკრივე მტკიცე ჩარჩოებშია მოქცეული და ის იძულებულია წესი და რიგისამებრ გაირჯეს. ესეცაა, რომ რინგზე გადატანილი ძნელბედობა აკეთილშობილებს მოკრივეს. ამიტომაც როდი ცდებიან ისინი, რომელთაც მიუჩნევიათ, რომ კრივი ადამიანს ღირსებასა სძენს და აღძრავს რაინდულ გრძნობებს.

ჰო, მაგრამ ზოგნი გვეტყვიან: ადამიანი რომ ჭეშმარიტ ჯენტლმენად იქცეს, ჰანა ამისთვის აუცილებელია ცემა-ტყეპაო?

ნუ ვიქნებით ზედმეტად სენტიმენტალურნი. ადამიანს ცხოვრებაში უმეტეს საძნელო ბრძოლები ელის და იგი ამისათვის მზად უნდა იყოს. სპორტის სხვა არასაშიში, „ლბილი" სახეობანი ვერა და ვერ გამოუმუშავებენ ადამიანს ამ იშვიათ თვისებებს. ამ მხრივ კრივი ფასდაუდებელია. ამიტომაც ნუ მოვყვებით ცრემლების ღვრას დალილავებული თვალისა თუ შეშუპებული ცხვირის გამო, თუკი ამის ფასად ჩვენი ხასიათი განმტკიცდება და განძლიერდება.

ასე რომ, კრივი დიდად მარგი სპორტია. სულაც არ არის აუცილებელი ადამიანი მსოფლიო ჩემპიონობას ესწრაფოდეს. სავსებით საკმარისია ისიც თუ იგი გაივლის ჯეროვან წვრთნას, რათა გაკაჟდეს ფიზიკურად და სულიერადაც.

ფრენბურთი

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქ პლზენში ტურნეს ბოლო, მეოთხე მატჩი გამართეს სსრ კავშირის ფრენბურთელმა ქალებმა. მათ წააგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან ანგარიშით 2:3. ამრიგად, ოთხი შეხვედრიდან საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა შეძლეს მხოლოდ ერთი მატჩის მოგება.

**საკავშირო** ჩემპიონატის ბოლო სახეობაში — მძლეოსნურ კროსში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ნეფედოვმა მანძილი 13 წუთსა და 35 წამში დაფარა, ათეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის ეს შედეგიც საკმარისი გამოდგა. ხუთჭიდის ჯამში მან 5320 ქულა დააგროვა და ჩამოუსწრო მეტოქეს, ალმაათელ ე. ზესნოვს 69 ქულით გაუსწრო. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა მოსკოველ...

თანამედროვე ხუთჭიდი

ბ. მოხოლოვს — 5.250 ქულა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლვოველი პ. ლედნიევი მეორე ადგილზე გავიდა (5155 ქულა). 20 წლის მოსკოველი ნეფედოვის გამარჯვება სპორტსმენის უდიდესი წარმატებაა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ასაკში სსრ კავშირის ჩემპიონობა ჯერ არავის [illegible]

## სსრ კავშირის პირველობა

### პირველი ლიგა

27 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები:

„შინიკი“ (იაროსლავლი) — „თერგი“ (გროზნო) 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, ასკ (ოდესა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:1.

ლვოვის „კარპატის“ შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსთან“ 27 ივლისს არ შემდგარა.

### მეორე ლიგა

**27 ივლისს** შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მორიგი ტურის შეხვედრები:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) — 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დილა“ (გორი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:1, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:2, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:1, „გასტელო“ (უფა) — „დინამო“ (კიროვი) 2:2, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 4:2, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:1.

## საქართველოს თასზე

**გაიმართა** ფეხბურთში საქართველოს თასის მეოთხედფინალური მატჩები.

ორ შემთხვევაში მარცხი განიცადეს მასპინძლებმა. თბილისის „ჯანმრთელობამ“ წააგო თერჯოლის „ენერგეტიკოსთან“ — 1:2, ხოლო საჩხერის „ჩიხურამ“ — გალის „მზიურთან“ — 0:1.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოუგო ფოთის „კოლხეთს“ — 3:0, ჭიათურის „მაღაროელმა“ კი ტყიბულის „მეშახტეს“ — 2:1.

5 აგვისტოს გაიმართება თასის ნახევარფინალური მატჩები. თამაშობენ „მზიური“ (გალი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა).

### 3:0

**სიმფეროპოლი.** აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში.

შეხვედრა მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 3:0. 2 ბურთი გაიტანა ტარანმა, 1 — შენგელიამ.

### სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 29 ივლისი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). დასაწყისი 16 ს.

## ფეხბურთი

### კალეიდოსკოპი

● **დამთავრდა** მსოფლიო ჩემპიონატი და საერთაშორისო საფეხბურთო ბაზარზე გაცხარებული ალებ-მიცემობაა. ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ბრაზილიელი რიველინო გადასვლას აპირებს საუდის არაბეთში.

● **კანადასთან** ერთად 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავიანთი კანდიდატურები ოფიციალურად წარადგინეს იუგოსლავიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ჩეხოსლოვაკიამ, აგრეთვე, ჰოლანდიამ და ბელგიამ (ერთდროულად). შეგახსენებთ, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება ესპანეთში, ხოლო 1986 წლისა — კოლუმბიაში.

● **ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კ. კუტინიომ საჯაროდ უნდა მოიხადოს ბოდიში საერთაშორისო ფედერაციისა და 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე მათი მისამართით გამოთქმული არათავაზიანი სიტყვების გამო.

კ. კუტინიომ არგენტინის ფინალური ტურნირის მსვლელობისას არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ორგანიზატორებმა თავიანთი გუნდისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნეს და არაფერს ერიდებოდნენ სხვადასხვა პრივილეგიების მისაღწევად.

● **ფეხბურთის** ასოციაციათა ევროპის კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ციურიხში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო იმის თაობაზე, რომ 1980-81 წლებიდან დაწყებული უეფა-ს თასზე მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის კლუბები, რომლებსაც სოლიდური საერთაშორისო დამსახურება აქვთ.

## ოლიმპიადა—80-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია გაიანაში

**ჯორჯთაუნი.** დამთავრდა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დელეგაციების ვიზიტი გაიანაში. სტუმრები გაეცნენ მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ეროვნული გუნდის მზადების მიმდინარეობას, დაათვალიერეს ჯორჯტაუნის სპორტული ნაგებობები.

ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე მხარე აქტიურად ითანამშრომლებს ოლიმპიადა-80-ისთვის მოსამზადებლად. ხელი მოაწერეს აგრეთვე, ხელშეკრულებას მთელი რიგი ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

საბჭოთა სპორტული დელეგაციის სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობას დიდი ინტერესით შეხვდნენ, — ხაზგასმით აღნიშნა ჯორჯთაუნში პრეს-კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. დენისოვმა. — ოლიმპიადა-80-ში სამხრეთ ამერიკის ქვეყნებ[illegible] ერთო მონაწილეობა ამ მსვლელო[illegible] სპორტულ [illegible] წარმომადგენლობით გახდის.

საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას გაიანის ოლიმპიური ასოციაციის წარმომადგენელმა სასარგებლო და ნაყოფიერი უწოდა. ამასთან, მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ატარებს მომავალ თამაშებზე ყველა ქვეყნის მონაწილეობის თანასწორუფლებიანობის იდეას. გაიანის გუნდი შეეცდება თავისი წვლილი შეიტანოს მოსკოვის ოლიმპიადის წარმატებაში (საკდესი).

### ემზადებიან

**ვარშავა.** „მონრეალის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე შევუდექით მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას, — თქვა პოლონეთის სპორტული ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ იანუშ პავლიუკმა — შარშან შევარჩიეთ 2000 ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელთაგან 1978 წლის დეკემბერში შევარჩევთ მომავალ ოლიმპიელებს.

დიდი სურვილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ შეჯიბრების ყველა სახეობაში, ამიტომ ფართოდაა გაშლილი ოლიმპიური სტარტებისთვის მზადება. მოსალოდნელია, რომ ნაკრების შემადგენლობაში შევა დაახლოებით 300 სპორტსმენი. რეგლამენტის თანახმად, გუნდურ ჩათვლაში მოეწყობა შესარჩევი ტურნირები. ჯერჯერობით მხოლოდ ფრენბურთელებმა და ხელბურთელებმა მოიპოვეს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება.

1976 წლის ოლიმპიადაში პოლონეთის ნაკრების საშუალო ასაკი 26 წელს შეადგენდა, 80 სპორტსმენი წინა ოლიმპიადების მონაწილე იყო. ახლა აუცილებელი გახდა ოლიმპიური გუნდის გაახალგაზრდავება და ამიტომ ნაკრების კანდიდატთა თითქმის 80 პროცენტი ახალგაზრდობაა. (საკდესი).





მთელ მსოფლიოში გავრცელდა მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ემბლემიანი პირველი მარკები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ძალოსნობა, ფარიკაობა, ნიჩბოსნობა და სპორტის სხვა სახეობები. ახლა მხატვარმა კ. ლიტვინოვმა დაამთავრა მუშაობა ახალ საფოსტო მინიატურებზე, რომლებიც ოლიმპიურ სერიას აგრძელებენ.

## ოლიმპიელებს ხელს უწყობენ

**პარიზი.** საფრანგეთის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა ჟაკ პერმიამ განაცხადა, რომ შესაფერის პირობებს შეუქმნიან საუკეთესო ფრანგ სპორტსმენებს 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად.

პერმიამ თქვა, რომ ახლახან ეიფელის კოშკის ძირას გამართულმა ჭოკით მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, დიდად შეუწყო ხელი მძლეოსნობის პოპულარიზაციას. პერმიამ აღნიშნა, აგრეთვე, რომ საფრანგეთის სპორტის მინისტრმა პიერ სუასონმა დამატებით გამოჰყო თანხა ოლიმპიელთა მოსამზადებლად. (საკდესი).

### საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ ტირაჟის შედეგები

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ ტირაჟისა, რომელიც 19 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

ექვსი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10.000 მანეთია (სამი ბარათი), ხუთისათვის — 6030 (154), ოთხისთვის — 106 (10259), სამისთვის — 5 (227814).

ფულადი მოგებების ანაზღაურება და ოლიმპიადა — 80-ის ტურისტული საგზურების გათამაშება იწარმოებს 1978 წლის 4 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

## კალათბურთი

**სიცილიის** ქალაქ ოგალოში სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირში. მან სამივე შეხვედრა მოიგო, მათ შორის, გადამწყვეტიც იტალიის გუნდთან — 110:63. მანამდე საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუნძულ სიცილიის ნაკრები გუნდები.

**ბულგარეთის** ქალაქ ბურგასში წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კალათბურთელმა ქალებმა. პირველ მატჩში მათ დაამარცხეს მასპინძლების მეორე გუნდი — 89:36

### პრიზი დალიპაგიჩს

ყოველი საკალათბურთო სეზონის ბოლოს იუგოსლავიური გაზეთი ბელგრადის „სალამთა ახალი ამბები“ ასახელებს ჩემპიონატის უძლიერეს კალათბურთელს. წლევანდელ კონკურსში გაიმარჯვა ბელგრადის „პარტიზანისა“ და იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა დრაჟენ დალიპაგიჩმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ასევე ნაკრების წევრს სარაევოს „ბოსნას“ თავდამსხმელს მირცა დელიბაშიჩს, მესამე ადგილი მიეკუთვნა „პარტიზანისა“ და იუგოსლავიის ნაკრების მცველს დრაგან კიჩანოვიჩს. აქვე დავძენთ, რომ სხვადასხვა დროს პრიზს ფლობდნენ დრაგან კაპიჩი (1974), კრეშიმირ ჩოსიჩი (1975), დრაგან კიჩანოვიჩი (1976), დრაჟენ დალიპაგიჩი (1977). ამრიგად, დალიპაგიჩმა მეორედ მოიპოვა აღნიშნული პრიზი.

## დრო ყველაფრისთვის ჰყოფნის

**ბერლინი.** „არ მეგონა ბატერფლაის სტილით 100 მეტრის გაცურვას წუთზე ნაკლებ დროში თუ შევძლებდი, — ფინიშის შემდეგ თქვა მსოფლიო რეკორდსმენმა ანდრეა პოლაკმა. — ძალზე დუნედ ავიღე სტარტი“.

მართლაც, დისტანციის პირველი 50 მეტრის 29 წამში დაფარვა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესების არავითარ იმედს არ იძლეოდა. მაგრამ ბერლინის „დინამოს“ აუზის (სადაც ვარჯიშობდა პოლაკი) მეორე 50 მეტრი მან სწრაფი ტემპით გაცურა და ფინიშზე მსოფლიო რეკორდით (59,46) მივიდა. ერთი დღის შემდეგ მან იმავე სტილით 200 მეტრიც სარეკორდო დროში (1.09,87) დაფარა. ახლა ბატერფლაის სტილით ცურვაში ორივე მსოფლიო მიღწევა ქალთა შორის ანდრეას ეკუთვნის. ამას გარდა, სპორტსმენი გოგონა ოლიმპიური მონრეალისა და 1977 წლის იონჩეპინგის ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლების მფლობელია...

ანდრეამ, რომელიც გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებულმა მშობლებმა ბერლინის „დინამოს“ აუზში მიიყვანეს... დაიწყო „გამაჯანსაღებელი ცურვით“: საჭირო იყო ხერხემლის გამრუდების წინააღმდეგ ზომების მიღება. საქმე ისე წარმატებით წარიმართა, რომ უკვე 1971 წელს პოლაკი ბერლინის „დინამოში“ ჩარიცხეს, ერთი წლის შემდეგ კი იგი „დიდ სპორტს“ ეზიარა.

სპორტსმენმა გოგონამ თქვა, რომ ვარჯიშის დროს მისი ყოველკვირეული დისტანცია 60 კმ-ს აღწევს, ხოლო საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ იგი დღეში 15 კილომეტრს აღწევს. ასეთი გადატვირთული ვარჯიშის მიუხედავად, 17 წლის მოსწავლე ვარჯიშისა და მეცადინეობის შემდეგ ყოველთვის პოულობს დროს წიგნების საკითხავად, მუსიკის მოსასმენად და კინოსურათის სანახავად.

პოლაკის წარმატებათა მიზეზებს შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ იგი „კარგი აღმზრდელების ხელში მოხვდა“: ბერლინის „დინამოს“ ცურვის სკოლამ ბრწყინვალე სპორტსმენები მისცა მსოფლიოს: რ. ბაიერი, რ. გაბრიელ-კოტერი. შარშან, 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, ანდრეას თანაკლუბელმა კ. კნაკემ მსოფლიოში პირველმა აჩვენა ერთ წუთზე ნაკლები დრო.

როცა იონჩეპინგში პოლაკს ჰკითხეს, შეიძლება თუ არა ბატერფლაის სტილით 100 მეტრის წუთზე ნაკლებ დროში დაფარვა (კნაკეს ჯერ არ ჰქონდა სარეკორდო შედეგი ნაჩვენები), მან უპასუხა:

— ამაზე მხოლოდ უნდა იოცნებო. ასეთი გაცურვისას ყველაფერი იდეალური უნდა იყოს: სრულყოფილი სტარტი, უშეცდომო მოხვევები, ტექნიკის ოპტიმალური გამოყენება. ყველაფერი ეს, როგორც წესი, არასდროს ემთხვევა ერთმანეთს.

ახლა კი ვიცით, რომ ანდრეას, რომელმაც ბევრად გადააჭარბა „რეკორდ-ოცნებას“, არცთუ ცოტა მარაგი გააჩნია. იონჩეპინგში პოლაკმა თქვა, რომ მას უფრო გაუადვილდება კოტერის მსოფლიო მიღწევის დამხობა 200-მეტრიან დისტანციაზე და მან სიტყვები საქმით დაადასტურა. წლევანდელ აპრილში ლენინგრადში გამართულ სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებ გუნდებს შორის მატჩში პოლაკმა 200 მ ბატერფლაით 2.11,20-ში დაფარა, ახლა კი გდრ-ის ჩემპიონატში 1,33-ით უკეთესი დრო აჩვენა. (საკდესი).

## ჩოგბურთი

**საბჭოთა** იუნიორი ჩოგბურთელების დიდი წარმატებით აღინიშნა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის. საბჭოთა ჭაბუკთა გუნდმა, რომელშიც გამოდიოდნენ მაგნიტოგორსკელი ი. სოლოპოვი, მინსკელი ი. მინკევიჩი და კიეველი მ. ოვჩაროვი, გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა შვედები — 5:2. ასევე საბჭოთა და შვედეთის გუნდების შეხვედრაში გადაწყდა ოქროს მედლების ბედი გოგონებს შორის. აქაც გაიმარჯვეს საბჭოთა გოგონებმა — 3:1. წინ კონტინენტის პირველობის პირადი ტურნირია.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: ინდექსი თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; შედრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-51; კორექტორები — 93-97-19; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07958